ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №871

22 ივნისი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 დეკემბრის №2214 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 14 ივნისის №5797-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი 1

(პრივატიზება)

N	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ	მისამართი	შენიშვნა
1	02.05.06.600	242 (შენობა-ნაგებობა 242,16 კვ/მ)	ქალაქი რუსთავი, ძველი ბაზრის მიმდებარე ტერიტორია	სსზ-3 საპრ.
2	02.03.08.003	150	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XV, სახლთმმართველობის მიმდებარედ	სზ-5
3	02.02.07.052	45	ქალაქი რუსთავი, მე-17 მიკრო რაიონი, ბინა N16-ის მიმდებარე ტერიტორია	სზ-5